პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ნოემბერი, კვირა, 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 269 (14265)

## შრომითი ნობათები

### ხუთწლედი — ვადამდე

□ ქარელის რაიონის სოფლის მშრომელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს. ნაცვლად 35.430 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 39.000 ტონა შაქრის ჭარხალი ნაცვლად 2.250 ტონისა — 2.300 ტონა ბოსტნეული. ქარელელთა ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 10.000 ტონა შაქრის ჭარხალი და 750 ტონა ბოსტნეული. ეს აცნობა რედაქციას საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ტოლიაშვილმა.

□ საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. აზაურაშვილმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, რომ რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეასრულა 100,5 პროცენტით, რძისა — 113 პროცენტით, კვერცხისა — 186 პროცენტით, მატყლისა — 108 პროცენტით.

□ ახალქალაქის რაიონმა პირობა გაანაღდა, — აცნობა „კომუნისტის" რედაქციას საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ს. პეტროსიანმა, — სახელმწიფოს მიეყიდა 26.520 ცენტნერი ხორცი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 26.45[illegible] ცენტნერისა, 104.638 ცენტნერი რძე ნაცვლად 104.084 ცენტნერისა, 2.869 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 2.769 ცენტნერისა, 1.380 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 1.055 ათასი ცალისა.

□ სამტრედიის საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი პ. ნადირაძე) ოქტომბრის ზეიმისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 13,5 მილიონი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი. აქედან ათი მილიონი ქილა საწარმოს კოლექტივმა უკვე გაუგზავნა ორენბურგის, სვერდლოვსკის, ჩიტისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მშრომელებს.

სამტრედიელმა მეკონსერვეებმა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ახალი ვალდებულებები იკისრეს. ამ თარიღისათვის ისინი სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცემენ ერთ მილიონ ქილა კონსერვს.

# პარტიული პროპაგანდის ცენტრები

მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური მოძღვრების ღრმა მეცნიერული შინაარსი, მისი პროპაგანდის მეცნიერულ ორგანიზაციასაც მოითხოვს. ამისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობი შესაძლებლობანი დაგვისახა ამჟამად მოქმედმა პარტიული განათლების სისტემამ. ამასთანავე იგი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო მსმენელებს, არამედ პროპაგანდისტებსაც, მათს თეორიულ მომზადებასა და მეთოდიკურ ოსტატობას.

დიდ და მრავალმხრივ საქმიანობაში პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს, რომლებიც პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ახლა ისინი იქცევიან პარტიული პროპაგანდის თავისებურ სამეცნიერო-მეთოდიკურ ცენტრებად, რომლებიც ღრმა და სისტემატურ დახმარებას უნდა უწევდნენ პროპაგანდისტებს, ლექტორებს, მომხსენებლებსა და პოლიტინფორმატორებს.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ამ ცენტრების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის, პოლიტიკური ლიტერატურითა და სასწავლო-მეთოდიკური სახელმძღვანელოებით შევსებისათვის. ისინი ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებენ და თავიანთ მუშაობაში აბამენ წამყვან ძალებს, პარტიის ყველაზე გამოცდილ იდეოლოგიურ კადრებს. მაგალითად, მოსკოვის პოლიტგანათლების სახლის სამეცნიერო, პროპაგანდისტულ აქტივში 400-ზე მეტი კაცი შედის, კიევის აქტივში — 200-მდე კაცი. მათ შორის არიან თვალსაჩინო მეცნიერები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, პედაგოგები, პროპაგანდისტები. ეს საშუალებას აძლევს მათ მაღალ დონეზე მოაწყონ პროპაგანდისტული კადრების თეორიული და მეთოდიკური მომზადება, განუწყვეტლივ შეავსონ მათი ბაგაჟი საზოგადოებრივ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების ცოდნით, განავითარონ და დახვეწონ მათი პოლიტიკური აზროვნება.

პარტიული პროპაგანდის მეთოდიკის სრულყოფასთან ერთად პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს მარქსისტულ-ლენინურ სწავლასა და მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა შეჰქონდეთ იდეური სიზუსტე, შეტევითი სულისკვეთება, ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა, როგორც გამომდინარეობს ეს XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან. ამ მხრივ ბევრ რამეს აკეთებენ ლენინგრადის, მინსკის, ალმა-ატის, სვერდლოვსკისა და სხვა ქალაქების პოლიტგანათლების სახლები. აქ ფართოდ არის დაყენებული ინფორმირება პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესახებ, რომლებსაც ადგილობრივი პარტორგანიზაციები წყვეტენ. პროპაგანდისტებისათვის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებისა და ინტელიგენციისათვის ეწყობა ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, კონსულტაციები, სემინარები იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკის საკითხებზე, მზადდება ლიტერატურის მიმოხილვები.

იმათი თეორიული სწავლა, ვინც მარქსისტულ-ლენინურ იდეებს ავრცელებს მასებში, არ შეიძლება შემოვფარგლოთ მარტოოდენ მოხსენებების კითხვით ზოგადპოლიტიკურ საკითხებზე. პროპაგანდისტი თავის საგანს უნდა ასწავლიდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე, თავისუფლად ერკვეოდეს წყაროებში, ლიტერატურაში, პარტიული პოზიციებიდან ერკვეოდეს საზოგადოებრივ მოვლენებსა და ამბებში. მომზადების ასეთ დონეს ეპიზოდური ღონისძიებებით კი ვერ მივაღწევთ, არამედ კარგად მოფიქრებული სისტემატური სწავლის შედეგად. უველაზე დიდ პრობლემებზე თეორიული კონფერენციებისა და ლექციების მოწყობასთან ერთად მიზანშეწონილია უფრო ფართოდ ვიყენებდეთ მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, აქტუალური თეორიული და პოლიტიკური პრობლემების განხილვას სემინარებზე, უნდა დავეხმაროთ პროპაგანდისტებს ისე წარმართონ მეცადინეობა, რომ თვალნათლივ ჩანდეს მარქსისტულ-ლენინური იდეური მემკვიდრეობის განუყრელი კავშირი დღევანდელობის ამოცანებთან, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს ითვისებდნენ არა როგორც ცნობილი დასკვნების ჯამს, არამედ როგორც კომუნისტური მშენებლობის ამოცანების, საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე პრობლემების ღრმად გააზრებისა და წარმატებით გადაჭრის ქმედითს მეთოდს.

პროპაგანდისტთა კადრების სწავლა ნაყოფიერია, თუ იგი ეყრდნობა საუკეთესო გამოცდილებას, ითვალისწინებს პედაგოგიკის, სოციალური ფსიქოლოგიისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაცემებს. ამ მიზნით ბევრგან მიმდინარეობს კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა, სწავლობენ პოლიტსკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტთა და მსმენელთა აზრებსა და მოთხოვნილებებს, ავლენენ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობენ რევოლუციური თეორიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის განვითარებას. სარატოვში, ვლადიმირში, ზაპოროჟიეში, ყაზანში პოლიტიკური განათლების სახლებმა ასეთი ანალიზის საფუძველზე მოამზადეს სასარგებლო რეკომენდაციები პირველწყაროებსა და სასწავლო ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის, უზბეკეთში — განაზოგადებენ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის გამოცდილებას. სოციოლოგიური კვლევა, რასაც ლენინგრადში აწარმოებენ, საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ პროპაგანდისტთა მომზადების პერსპექტიული დაგეგმვა. პოლიტიკური განათლების სახლების ერთ-ერთი მოვალეობაა გააძლიერონ დახმარება კომკავშირელი პროპაგანდისტებისადმი ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური სწავლის დონის ამაღლებაში.

პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობის შინაარსს, ქმნიდნენ პირობებს მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ასპეციალებდნენ კონსულტანტებს საგნებში, რომ უმეტესი ყურადღება დაუთმონ მთავარს — პროპაგანდის შინაარსს, ეფექტიანობის ამაღლებას. საჭიროა აგრეთვე გააქტიურონ პარტიული ბიბლიოთეკების მუშაობა. კვალიფიციური ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების მომზადება, მკითხველთა კონფერენციების, ზეპირი ჟურნალების, ფონოთეკებისა და ფილმოთეკების მოწყობა, ბიბლიოგრაფიული ცოდნისა და კითხვის კულტურის პროპაგანდა, დაკვირვებული და სისტემატური დახმარება კადრებისადმი, რომლებიც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, — ყოველივე ეს პარტიული ბიბლიოთეკების საქმიანობის მთავარი შინაარსი ხდება.

წლევანდელი სასწავლო წელი მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების ვითარებაში. იგი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს იმ საქმეში, რომ კომუნისტებმა, უპარტიოთა ფართო მასებმა ღრმად და შემოქმედებითად შეისწავლონ ლენინის იდეურ-თეორიული მემკვიდრეობა, შეიარაღდნენ ახალი საზოგადოების მშენებლობის რევოლუციური მეცნიერებით, ღრმად შეიგნონ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში. და ამაში დიდი როლი ეკუთვნის პროპაგანდისტთა ყველა რაზმს, იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბანს.

ПРАВДА
15 ნოემბრის მოწინავე

# პარტიისადმი, ხალხისადმი ერთგულების ფიცი

## შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა რუსთავის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციას



16 ნოემბერს სადღესასწაულოდ იყო მორთული ქალაქი რუსთავი. ტრანსპარანტები, პლაკატები, მოკავშირე რესპუბლიკათა ალმების ალისფერი ქსოვილები ხაზს უსვამდნენ ქართველ მეტალურგთა და ქიმიკოსთა, მეცემენტეთა და მშენებელთა ქალაქში, სიჭაბუკისა და გაზაფხულის ქალაქში გამეფებული ვითარების ზეიმურობას. დიახ, რუსთავის ახალგაზრდებს, ისევე როგორც ქალაქის ყველა მშრომელს, დღეს დიდი დღესასწაული აქვთ. რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის ქალიშვილებისა და ჭაბუკების მიერ სამშობლოს სადიდებლად გაწეულ თავდადებულ შრომას მაღალი შეფასება მისცეს პარტიამ და მთავრობამ. ლენინური კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მეტალურგთა კულტურის სასახლე. საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას, მოვიდნენ რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირული მოძრაობის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, საწარმოთა, სამშენებლო, სამონტაჟო სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

სადღესასწაულოდ მორთულ სცენაზე ჰკიდია ყვავილებით შემკული კომკავშირული ნიშანი, რომელზეც გამოხატულია მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ახალგაზრდობის მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახე. წითელ ქსოვილზე ბრწყინავს შრომის წითელი დროშის ორდენი — რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის ჯილდო.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუიძე, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ისინი, ვინც მონაწილეობდა ქალაქის მშენებლობაში, ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ქალაქად მის გადაქცევაში, რუსთავის ახალგაზრდობის სტუმრები.

საზეიმო კრება გახსნა კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კობაიძემ.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო კრების მონაწილენი მქუხარე ტაშის გრიალში ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

დარბაზში შემოაქვთ რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის დროშა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ქ. რუსთავი. 1968 წ. 16 ნოემბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე შრომის წითელი დროშის ორდენს გადასცემს რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლებს (სურათი ზემოთ); ქვემოთ — საზეიმო კრების დარბაზში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



# ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ძვირფასო მეგობრებო!

ქალაქ რუსთავის — სიჭაბუკის ქალაქის ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

არც ისე დიდი დრო გავიდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როცა ჩვენ ყველამ ერთად, მთელმა ჩვენმა ხალხმა ზეიმით აღვნიშნეთ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის, კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწისა და ერთგული, საიმედო რეზერვის 50 წლისთავი.

იმ დღეებში ყველამ სიხარულით შევიტყეთ, რომ რუსთავის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციას, ქვეყნის საუკეთესო კომკავშირულ ორგანიზაციებს შორის, სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდო.

და მაშინვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რესპუბლიკის კომუნისტების, კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის სახელით, ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეთა სახელით, მხურვალედ, სულითა და გულით მივულოცეთ რუსთავის კომკავშირელებს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, და ვუსურვეთ ახალი წარმატებანი ცხოვრებასა და შრომაში.

დღეს კვლავ სასიხარულო დღე გვაქვს, ჩვენ მოვედით საზეიმო კრებაზე, რომელიც ეძღვნება რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციისათვის მთავრობის ამ ჯილდოს გადაცემას.

და ამიერიდან რუსთავის კომკავშირელთა დროშაზე იკიაფებს შრომის წითელი დროშის ორდენი.

ეს მეტად ნიშანდობლივია, მე ვიტყოდი — სიმბოლურია, — რომ ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომკავშირის — საბჭოთა ახალგაზრდობის ამ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის იუბილეს დღეებში დაჯილდოვდა საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია.

სიმბოლურია ისიც, რომ რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია დაჯილდოებულია სწორედ შრომის წითელი დროშის ორდენით, რადგან ყველაფერი, რასაც ვხედავთ დღეს რუსთავში — ბრძმედები და მარტენის ღუმელები, მეტალურგიული ქარხნის მძლავრი კორპუსები, ქიმიური კომბინატის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, სახლთსამშენებლო კომბინატის, ცემენტისა და ამწესამშენებლო ქარხნების ვრცელი საამქროები, კულტურის სახლები და განიერი პროსპექტები, საცხოვრებელი სახლები და სასკოლო შენობები, საბავშვო ბაღები და ბაგები, პარკები და სასპორტო მოედნები — ყოველივე ეს შექმნილია ადამიანთა შრომით, და უწინარეს ყოვლისა რუსთავის ახალგაზრდობის შრომით.

ხომ სწორედ ახალგაზრდობა, ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები, განაგრძობენ რა კომკავშირის სახელოვან შრომითს ტრადიციებს, ჩამოვიდნენ პარტიის მოწოდებით, კომკავშირის საგზურებით დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობაზე რუსთავში, რათა აეშენებინათ ქალაქი ველზე, აეგოთ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იმ ადგილას, სადაც ოდესღაც, შორეულ წარსულში მდებარეობდა ქართველ ფეოდალმფლობელთა ქალაქი.

ახალგაზრდობა რუსთავში ჩამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან და მრავალი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკიდან.

ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ მოწყობილობით, საშენი მასალებითა და მექანიზმებით დატვირთული ეშელონები.

(დასასრული მე-2 გვ.).

# კომუნიკე

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრის შესახებ

მიმდინარე წლის 13-15 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა შეხვედრა.

შეხვედრაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ი. პელშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ა. ს. ბელიაკოვი.

იტალიის კომპარტიის მხრივ მონაწილეობდნენ იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროსა და ხელმძღვანელობის წევრი ე. ბერლინგუერი, იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრები პ. ბუფალინი, კ. გალუცი, ა. კოლომბი და ა. კოსუტა.

შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებსა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებზე, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მათ შორის კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მომზადებისა და მოწვევის საკითხებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულახდილობის სულისკვეთებით და ამხანაგურ ვითარებაში.

ორივე დელეგაციამ გამოთქვა საერთო მისწრაფება განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომპარტიის ურთიერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, საბჭოთა ხალხისა და იტალიელი ხალხის მეგობრობის ინტერესებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის ინტერესების უზრუნველსაყოფად.

# პარტიისადმი, ხალხისადმი ერთგულების ფიცი

(დასასრული)

იმ დღეებში, როცა რუსთავის მიწას პირველად მოხვდა მშენებელთა ბარი და აქ დაიდგა პირველი კარვები, რუსთავის კომკავშირულ ორგანიზაციაში სულ 4 კაცი იყო, ახლა კი რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 10 ათას ახალგაზრდა მეტალურგსა და მშენებელს, ქიმიკოსსა და მემონტაჟეს, მოსამსახურესა და მოსწავლეს.

ეს კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მთელი არმიაა, და ჩვენ ვამაყობთ თქვენით, თქვენი სასახელო საქმეებით, თქვენი თავდადებული შრომითა და დაუცხრომელი ენერგიით, თქვენი ნამდვილად კომკავშირული მგზნებარებით.

სასიხარულოა, რომ სწორედ რუსთაველმა კომკავშირელებმა რესპუბლიკაში პირველმა დაიწყეს კომუნისტური შრომის ქალაქად, მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად თქვენი ქალაქის გადაქცევისათვის ლაშქრობა.

თქვენი წყალობით, რუსთავის ქალიშვილებისა და ჭაბუკების, ჩვენი მებრძოლი კომკავშირის, რუსთავის ყველა მშრომელთა წყალობით, რომლებმაც საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოიპოვეს შესანიშნავი წარმატებანი, თქვენი ქალაქი ახლა ცნობილია არა მარტო მთელ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მიდის დღეს რუსთავის მარკის პროდუქცია.

გავიდა მხოლოდ 20 წელი, რაც რუსთავი ქალაქი გახდა, დღეს კი აქ ერთ სულ მოსახლეზე უშვებენ უფრო მეტ თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს, ვიდრე ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

რუსთავი მრავალეროვანი ქალაქი, მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. ტყუილად კი არ ვუწოდებთ მას 40 ძმის ქალაქს: აქ ერთად ცხოვრობენ და ერთსულოვნად შრომობენ 40 ეროვნების წარმომადგენლები.

დღეს, ჩვენს საზეიმო კრებაზე, შეიძლებოდა დაგვესახელებინა მრავალი ახალგაზრდა, კომკავშირელი, რომლებიც წარმოადგენენ რუსთავის სიამაყესა და დიდებას, ისეთები, როგორიც არიან მდნობელი დიმიტრი ბარათაშვილი და გაზის მუშა ჯუმბერ კილაძე, როგორიც არიან ქიმიური კომბინატის მუშა სვეტლანა აბულაძე და მეაპარატე ალა პოლინცევა, როგორიც არიან ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული კომპლექტის ოსტატის თანაშემწე ელისო ჭავჭავაძე და მგრეხელი ემა რეიტენბახი, როგორიც არიან მშენებელი ზაურ გოგიძე და მემონტაჟე ვალერი უდოვენკო, ქარხანა „ცენტროლიტის" ხარატი როზა ენგიბარიანი და ზეინკალი იბრაგიმ იუსუპოვი და სხვები.

მაგრამ ეს ჩამოთვლაც მოწმობს, თუ რა შეკავშირებული არიან ამ სიჭაბუკის მშვენიერ ქალაქში მშრომელები ერთიან, ერთსულოვან, მრავალეროვან ოჯახად.

და დღეს შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ ამ ქალაქში, როგორც მზე წყლის წვეთში, აისახა მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელი ჩვენი ქვეყანა, სადაც ერთიან, ერთსულოვან მრავალეროვან ოჯახში გაერთიანებულია დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს რუსთავში დღესასწაულზე რუსთავის კომკავშირელთა სიხარულის გასაზიარებლად ჩამოვიდნენ მათი მეგობრები და ამხანაგები სხვადასხვა ქალაქიდან და რესპუბლიკიდან.

რუსთავის კომკავშირელთა ანგარიშზეა ბევრი სასახელო საქმე, კარგი წამოწყება, პატრიოტული თაოსნობა, ეს არის მოძრაობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, პროდუქციის უდეფექტოდ ჩაბარებისათვის, მომიჯნავე პროფესიების დაუფლებისათვის, ეს არის ახალგაზრდა მუშების პროფესიული ოსტატობის, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება.

ქალაქის ახალგაზრდობა რესპუბლიკაში პირველი დადგა სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტზე, გახსნა სახელოვანი იუბილესათვის შრომითი საჩუქრების პირადი ანგარიშები და მოიპოვა შესანიშნავი წარმატებანი სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აი ყველა ამ და მრავალი სხვა სასარგებლო საქმისათვის მიენიჭა რუსთავის კომკავშირულ ორგანიზაციას მთავრობის მაღალი ჯილდო.

შემდეგ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობასა და განვითარებაში კომკავშირელებისა და ახალგაზრდების დიდი წვლილისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში აქტიური მუშაობისათვის და სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავთან დაკავშირებით რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში შრომის წითელი დროშის ორდენს აბნევს რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის დროშას და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით კიდევ ერთხელ მხურვალედ ულოცავს რუსთავის კომკავშირელებს, მთელ ახალგაზრდობას ამ მაღალ ჯილდოს, გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რუსთავის კომკავშირი მუდამ მაღლა ატარებს შრომის წითელი დროშის ორდენით დამშვენებულ ამ დროშას!

დასასრულ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თქვა:

ნება მიბოძეთ ვუსურვო რუსთავის კომკავშირს ახალი წარმატებანი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდაში მაღალი იდეური რწმენის, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ რუსთავის კომკავშირი, როგორც ყოველთვის, იქნება პარტიული ორგანიზაციების ერთგული, მებრძოლი თანაშემწე სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანათა გადაწყვეტისათვის ახალგაზრდობის მობილიზაციაში, მთელ თავის ძალ-ღონეს, მთელ თავის ენერგიას მოახმარს ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჩაბმას კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლობაში!

ნება მიბოძეთ ვუსურვო რუსთავის კომკავშირელებს, მთელ ახალგაზრდობას, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელთ, აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ლენინისა, რომლის სახელს ღირსეულად ატარებს კომკავშირი, პატრიოტული საქმეებით, ახალი შრომითი გამარჯვებებით, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებით!

შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე აცხადებს:

გაუმარჯოს სახელოვან ლენინურ კომკავშირს!

დიდება რუსთავის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს!

დაე მუდამ დღეგრძელი იყოს ჩვენი დიადი პარტია, კომუნისტების პარტია, ლენინის პარტია, რომელიც მიუძღვის საბჭოთა ხალხს წინ, კომუნიზმისაკენ!

□ □ □

**გამოდის** კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კობაიძე.

დღევანდელი დღე, თქვა მან, ყველაზე ბედნიერი, ყველაზე სასიხარულოა რუსთავის კომკავშირული ორგანიზაციის, ყველა მისი მშრომელის ცხოვრებაში, ჩვენი რესპუბლიკის მთელი კომკავშირული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

დააჯილდოვა რა ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია შრომის წითელი დროშის ორდენით, პარტიამ ამით მაღალი შეფასება მისცა რუსთავის კომკავშირელთა და ახალგაზრდათა საქმიანობას, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობასა და განვითარებაში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს პარტია და მთავრობა კომკავშირის, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის საქმიანობას.

მთავრობის მაღალი ჯილდო რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის დროშაზე ათასობით ახალგაზრდა რუსთაველს აღაფრთოვანებს ახალი, კიდევ უფრო თავდადებული შრომითი გმირობისათვის.

1944 წლის გაზაფხულზე მშენებელთა პირველი რაზმები ჩამოვიდნენ რუსთავის პატარა სადგურში, თქვა შემდეგ ამხ. კობაიძემ. მშენებლობის პირველი დღეებიდანვე იწყებს თავის არსებობას კომკავშირული ორგანიზაცია. ეს მძიმე პერიოდი იყო. ქვეყანა განაგრძობდა ბრძოლას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. მაგრამ ახალგაზრდობა, რომელიც პარტიის მოწოდებით ჩამოვიდა ახალი ქალაქის მშენებლობაზე და კარვებში ცხოვრობდა, წვიმასა და სიცხეში თავის ოცნებაში უკვე ხედავდა დღევანდელ რუსთავს განიერი ქუჩებით, კულტურის სასახლეებით, სკოლებითა და პარკებით.

გადიოდა წლები. ქალაქი რუსთავი იზრდებოდა. ზედიზედ დგებოდნენ მწყობრში მეტალურგიული ქარხნის ახალი საამქროები. მოკლე დროში უკაცრიელ ადგილას აღიმართა აზოტიანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნების კორპუსები. 1966 წლის მაისში ქალაქის კომკავშირელები და ახალგაზრდობა კომუნისტური შრომის, მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად რუსთავის გადაქცევისათვის შეჯიბრების ინიციატორები გახდნენ. ემზადებოდნენ რა სრულიად საკავშირო ალკკ 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ქალაქის კომკავშირელებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს, ცვლებს, უბნებს შორის. თავიანთი სიტყვა კომკავშირელებმა პირნათლად შეასრულეს. სამშობლომ გეგმის გადამეტებით მიიღო ათასობით ტონა თუჯი, მზა ნაგლინი, მინერალური სასუქები, საექსპლოატაციოდ გადაეცა ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამ შრომით წარმატებებს, თქვა ორატორმა, რუსთავის ქალიშვილები და ჭაბუკები უნდა უმადლოდნენ ლენინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლ თავიანთ უფროს ამხანაგებს. სწორედ უფროსმა ამხანაგებმა —კომუნისტებმა, სწორედ მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ შეაიარაღეს ახალგაზრდობა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით, ასწავლეს იმუშაონ და იცხოვრონ ხალხისათვის, იბრძოლონ და დასძლიონ ყოველგვარი სიძნელენი დიადი მიზნის — კომუნიზმის მიღწევის გზაზე.

გავა კიდევ ცოტა ხანი და ჩვენს პლანეტაზე დადგება დიდი ზეიმი — მსოფლიოს ადამიანები აღნიშნავენ რევოლუციის დიდი ბელადის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ჩვენ, რუსთავის კომკავშირელებს, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ეს დიადი თარიღი აღვნიშნოთ ახალი სასახელო საქმეებით ჩვენი საყვარელი სამშობლოს, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

ამხ. კობაიძემ რუსთავის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით ფიცი მისცა სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, ხალხს, რომ ისინი მუდამ მაღლა ატარებენ უკვდავი ლენინის დროშას, დიდი ოქტომბრის დიდებით გაცისკროვნებულ ბრძოლისა და გამარჯვებათა დროშას. ორატორმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ რუსთავის ქალიშვილები და ჭაბუკები მაღალი ჯილდოს — შრომის წითელი დროშის ორდენის ღირსეული იქნებიან, რომ გაამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას ჩვენი სახელოვანი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის საერთო ბრძოლაში.

დარბაზში გაისმის ტაში, როცა ამხ. კობაიძემ გამარჯვება უსურვა სახელოვან კომუნისტურ პარტიას — ჩვენი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, პარტიის ერთგულ მეგობარსა და თანაშემწეს — ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს.

რუსთავის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მთავრობის მაღალი ჯილდო გულითადად მიულოცეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. მეტრეველმა**, კომკავშირის რუსთავის რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა, ამჟამად მშენებელთა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორმა **კ. ბარამიძემ**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ბ. ძნელაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ღუმელის მდნობელმა **დ. ბარათაშვილმა**, კომკავშირის სუმგაითის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. რზაევმა**, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგემ **ვ. ფილიამ**, რუსთავის სახლთსაშენებლო კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა **შ. მოდებაძემ**, კომკავშირის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **კ. დანელიანმა**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ერთ-ერთი ნაწილის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, უფროსმა სერჟანტმა **ნ. ბულგაკოვმა**, კომკავშირის ჩერკასის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრმა **ი. ბულბამ**, რუსთავის მე-13 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ **მ. კაპანაძემ**, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ხარბედიამ**.

საზეიმო კრების მონაწილენი მქუხარე ტაშის გრიალში იღებენ მისასალმებელ წერილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. წერილში რუსთავის კომკავშირელები და ახალგაზრდობა საჯაროდ აღუთქვამენ პარტიას, რომ მთელ თავიანთ ენერგიას, მთელ თავიანთ საქმეებსა და აზრებს მიუძღვნიან სანუკვარ მიზანს — მუდამ და ყველაფერში იყონ დიდი ლენინის პარტიის საქმის ერთგული განმგრძობნი, იყონ ლენინელთა სახელის ღირსეულნი.

რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციისათვის შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება დახურულად ცხადდება.

საზეიმო კრების მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

გაისმის შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის სადიდებლად. საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებლის, საბჭოთა ახალგაზრდობის, ლენინური კომკავშირის სადიდებლად, რუსთავის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის სადიდებლად.

(საქინფორმი).

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ე. ა. ნალბანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**პარტიულ** ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ელენე ანტონის ასული ნალბანდიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1968 წლის 14 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ი. ნ. ცერცვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**ახალგაზრდობის** კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი ამხ. ივანე ნიკოლოზის-ძე ცერცვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1968 წლის 14 ნოემბერი.

## მასობრივი ტირაჟით

**პოლიტიკური** ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა ბროშურა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავი". ბროშურაში შედის ტექსტი მოხსენებისა, რომელიც 1968 წლის 6 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმო სხდომაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოვიდა. (საქინფორმი).

## მეშახტეთა დიდი გამარჯვება

**ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტი** მოწინავე საწარმოა. მისი კოლექტივი უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. შახტმა მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საგარდამავლო დროშა.

ახლაც მოსკოვიდან სასიხარულო ამბავი მოვიდა: მესამე კვარტალში მიღწეული საუკეთესო მაჩვენებლებისათვის დასავლეთის შახტის კოლექტივს კვლავ მიენიჭა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა, ხოლო მესამე — ამავე ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მთელი კოლექტივის კარგი მუშაობა.

ეს ინფორმაცია ჯერ იწერებოდა, როცა მოვიდა მეორე სასიხარულო ამბავი: სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საგამოფენო კომიტეტმა **ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის** შახტი დააჯილდოვა პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო მნგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ლაჩრავა — ოქროს მედლით.

დასავლეთის შახტის უფროსს გ. რაზმაძეს მიენიჭა ვერცხლის მედალი, უბნის უფროსს პ. გაბრიაძეს, მნგრეველებს: ს. სოფრომაძესა და შ. ცირეკიძეს ბრინჯაოს მედლები. ყველა მათგანმა აგრეთვე მიიღო ფულადი პრემიები.

(საქინფორმი).

*საქინფორმის ცნობა*

## ორბიტაზეა მსოფლიოში უდიდესი ავტომატური სამეცნიერო კოსმოსური სადგური „პროტონ-4"

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1968 წლის 16 ნოემბერს საბჭოთა კავშირში მძლავრი მატარებელი რაკეტის საშუალებით წარმატებით გაუშვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი ავტომატური სამეცნიერო კოსმოსური სადგური „პროტონ-4".

ორბიტაზე გაყვანილი სასარგებლო ტვირთის საერთო წონა (მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის გამოკლებით) შეადგენს დაახლოებით 17 ტონას. სადგურის სამეცნიერო აპარატურის წონაა 12,5 ტონა.

კოსმოსური სადგური „პროტონ-4" გაყვანილია ორბიტაზე, რომლის აპოგეაა 495 კილომეტრი და პერიგეა — 255 კილომეტრი. ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 30 მინუტი. მიმოქცევის პერიოდი—91,75 წუთი.

ავტომატურმა სამეცნიერო კოსმოსურმა სადგურმა „პროტონ-4"-მა უნდა განაგრძოს კვლევა, რომელიც დაიწყეს სამეცნიერო კოსმოსურმა სადგურებმა „პროტონ-1"-მა, „პროტონ-2"-მა, და „პროტონ-3"-მა მაღალი და ზემაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების ბუნებისა და ატომურ ბირთვებთან მათი ურთიერთმოქმედების შესასწავლად.

მეცნიერული კვლევის პროგრამაში შედის:

— $10^{15}$ (ელექტრონვოლტ ენერგიებამდე კოსმოსური სხივების ენერგეტიკული სპექტრისა და $10^{13}$ — $10^{14}$ ელექტრონვოლტ ენერგიამდე კოსმოსური სხივების ქიმიური შედგენილობის შესწავლა.

— $10^{11}$ — $10^{12}$ ელექტრონვოლტ ენერგიათა დიაპაზონში სამიზნეებლების (წყალბადი, ნახშირბადი, რკინა) ბირთვიანებთან კოსმოსური სხივების ნაწილაკების დაჯახების ალბათობის გაზომვა;

— $10^{13}$ — $10^{14}$ ელექტრონვოლტ ენერგიების დროს სამიზნებელთა ატომურ ბირთვებთან კოსმოსური სხივების ნაწილაკების დაჯახების დინამიკის შესწავლა;

— წილადური ელექტრული მუხტების მქონე ნაწილაკების (კვარკების ძიება პირველადს კოსმოსურ სხივებში;

მაღალი ენერგიის ელექტრონების ინტენსივობისა და ენერგეტიკული სპექტრის გაზომვა.

გარდა სამეცნიერო და გასაზომი აპარატურისა, სადგურში დადგმულია რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,910 მეგაჰერცი სიხშირით. ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის ყველა საბორტო სისტემა, აგრეგატები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## სსრ კავშირისა და დაგომეის კოოპერატორთა თანამშრომლობა

**დაგომეის** კოოპერატორთა დელეგაცია პორტო ნოვოს კოოპერატორთა ადმინისტრაციული საბჭოს მდივნის ი. საიის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სსრ კავშირის „ცენტროსოიუზის" მოწვევით, 15 ნოემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა.

სტუმრები ხუთ დღეს ეცნობოდნენ საბჭოთა კოოპკავშირის სავაჭრო, დამამზადებელ და საწარმოო საქმიანობას, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მოსკოვის გარდა, ისინი იყვნენ თბილისში, სადაც გამოცდილება გაუზიარეს ქართველ კოლეგებს.

დაგომეის კოოპერაციული დელეგაციის პირველმა ვიზიტმა სსრ კავშირში დაადასტურა ორივე მხარის მისწრაფება მთელი მეცადინეობა მოახმარონ საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას, გააღრმავონ კოოპერაციული ურთიერთობა ორ ორგანიზაციას შორის.

დაგომეის კოოპერატორთა დელეგაციამ მოიწონა „ცენტროსოიუზის" საქმიანობა საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსში, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის კოოპერაციული ორგანიზაციების ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას, ბრძოლას კაპიტალისტური მონოპოლიების წინააღმდეგ, საერთაშორისო კოოპერაციული მოძრაობის ერთობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის „ცენტროსოიუზმა" განაცხადა, რომ მზად არის დაეხმაროს დაგომეის კოოპერატორებს ეროვნული კადრების მომზადებაში (საქინფორმი).

# სამშობლოს სადიდებელი

**საბჭოთა** ხალხი გულწრფელად ადიდებს თავისი ბედნიერების შემოქმედს —დიად კომუნისტურ პარტიას, ყველა მშრომელი ადამიანის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ახალი სამყაროს შემოქმედს — ვ. ი. ლენინს, დიდ ოქტომბერს — კომუნიზმის ფუძეს, ახალი ცხოვრების სათავეს.

შარშან ჩვენმა სამშობლომ, უდიდეს ქარტეხილებში გამარჯვებულმა, ძლევამოსილმა და ბედნიერმა, დიდი ზეიმი გადაიხადა— ოქტომბრის 50-ე წლისთავი იდღესასწაულა. წლეულს ლენინური კომკავშირის სახელოვან 50-ე წლისთავს აღფრთოვანებით შევეგებეთ. კომკავშირმა ხომ ბევრი სასიკეთო საქმე დაგვიგვირგვინა, ბევრ გმირს დაუწყნა აკვანი. და აი, ამ საზეიმო დაფდაფების ხმა ჯერ არც კი მიმწყდარა, რომ ზეიმი ზეიმს გადაება, სიხარულს ახალი სიხარული დაემატა: საბჭოთა ხალხმა თავისუფალი ცხოვრების წელთაღრიცხვის 51-ე ფურცელი გადაშალა.

საიუბილეო დღეებში „კომუნისტის" რედაქციაში შემოსული ლექსები ერთი წრფელი ხმაა მრავალხმიანი ომახიანი სიმღერისა. ამ ლექსთა ავტორები სულით და გულით შეჰხარიან ჩვენი დღეების სიდიადეს. თბილისელი **სულიკო დიასამიძე** აღფრთოვანებულია, რომ ულამაზესი ბაღივით გადამქცევი, ომისა და უბედურების მოგული და მშვიდობის მოყვარული საბჭოთა სამშობლო თავისი არსებობის 51-ე წლისთავს ზეიმობს:

ნათელ მომავალს ვაშენებთ
მზით დაფერილი კუნთებით,
არ გვსურს ომი და სისხლისღვრა,
რბევა, ნგრევა და ხუნდები.
დაგვენათის დიდი ლენინის
სიბრძნის ელვარე ნათელი,
ვიღვწით, ვიბრძვით და ვიმარჯვებთ
მისი უკვდავი სახელით.
მომავლის მშენებლები ვართ,
კუნთმაგრები და ლაღები,
ჩვენი მარჯვენის მადლია
მზით დაფერილი ბაღები.
სულ წინ და მაღლა ვისწრაფვით
გამრჯე მკლავით და მხნე გულით,
უდაბნოს ვაქცევთ ბაღნარად,
მკერდით ჩავრაზეთ ენგური.

საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირელები გასაჭირისა და ავბედობის ჟამსაც სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში იდგნენ და ახლაც, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდშიც, ახალი ცხოვრების მშენებელთა პირველ რიგებში დგანან. ისინი არიან, ბრძმედებთან მარჯვედ რომ ტრიალებენ, ფოლადს რომ ადნობენ, ხახვამშრალი მიწისათვის წყურვილის მოსაკლავად არხები რომ გაჰყავთ, ახალ მძლავრ ჰესებს რომ აშენებენ... **ალექსი ჩუციშვილს** (საჩხერე) ეს აზრი ნიჭიერად, მოხდენილად, მხატვრული სახეებით აქვს გადმოცემული:

ბრძოლის გმირი
შრომაშიც მუდამ გმირია,
თქვენ: მიზანი გვაქვს ნათელი და
არ დავეხსნებით.
მდინარეების ნაწლავებზე
მაგარკბილიან
სავარცხლივით დაამაგრეს
მძლავრი ჰესები.
თქვეს: ავაშენებთ!
და იშრომეს მტკიცედ, ბოლომდე.
დისკრის ზარივით
წრაქტები მათი რეკავდა,
მაგნიტოგორსკის გიგანტიდან
ცხელი ფოლადი
პირდაპირ ჯანში ჩაეღვარა
ახალ ქვეყანას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი **ნათელა წერეთელი** ბეჯითი მეცადინეობისას იმის დროსაც პოულობს, რომ გულწრფელი განცდები ლექსებში ჩააქსოვოს. იგი მიმართავს აღმზრდელ კომკავშირს:

გამარჯვებების სულისჩამდგმელო,
ჩვენი აწმყოს და მომავლის
რწმენავ,
შენ, კომკავშირო, ბედნიერების
გზებზე იის და ვარდების ფენავ.

ხალხთა დიდი ბელადი, ჩვენი მამა და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი — ახალი სამყაროს შემოქმედი, ახალგაზრდობის გულს სასიმღეროდ აღანთებს. ყოველივე კარგი, რაც კი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ კეთდება, ლენინის გენიალური აზრის ნაყოფია. ბელადის სიყვარულით გულგამთბარი ზეინკალი **მიხეილ ცერცვაძე** (ციათურა, დარკვეთი) წერს:

სართულს სართული
რომ ემატება
და ქვეყანა რომ ბრწყინავს,
მშვენდება,
ეს ყველაფერი დიდი ბელადის
გენიალური გეგმით შენდება.
მჯამს ულენინოდ ჩვენი ცხოვრება
არ იქნებოდა ასე მზიანი,
ვეღარ შესვამდა სიცოცხლის
შარბათს
ბუნების მეფე — ადამიანი.
დიდი ლენინის წმინდა სახელი,
გჯერა, არასდროს დაიბინდება,
მისი მოძღვრების ნათელი შუქი
ხალხს ჰაერივით მუდამ სჭირდება.

უკვდავი ლენინის შუქი აცისკროვნებს ჩვენს დიად ცხოვრებას და ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრებაც, სოფლებისა და ქალაქების განახლებაც, შეძლებულ კოლმეურნეთა მარნებსა და ბაღებში დახვავებული დოვლათიც, ვერაგ მტერზე გამარჯვებაც, ყოველივე ოქტომბრის, ლენინის, კომუნისტური პარტიის მადლია. სწორედ ეს აზრია ჩაქსოვილი **ლ. ჩარჩხალიას** (ფოთი) სტრიქონებში:

თუ ჩვენში ლურჯ ცაზე
ელვარებს ნათელი,
ღრუბლები არ გვფარავს,
მარად მზე ანთია,
ამ ყოველ სიკეთეს,
შენ გვაძლევ, ბელადო,
ჩვენ შენი თვალები
გვინათებს განთიადს.
თუ ხალხი ხარობს და
სიცოცხლე მაისობს,
თუ ყველგან ბარაქით
ბეღლები აივსო,
თუ გამარჯვების
დროშები ანთია,—
წინ გვიძღვის დიადი
შენივე პარტია!

ადამიანის ნატვრას, ფიქრს, ოცნებას ლენინის საქმის გამარჯვებამ, ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ შეასხა ფრთები. ჩვენი ხალხი ლენინის სახელით შრომობს, იბრძვის, ყამირს ტეხს, კოსმოსურ სივრცეებს იპყრობს:

ყველა ოცნებამ ფრთები
გაშალა,
ახდა ყოველი ნატვრა და
ფიქრი,
შენი სახელით ვშრომობთ
ყამირზე,
შენი სახელით კოსმოსში
მივქრით.
შენ დაამსხვრიე მძიმე ხუნდები,
ხალხს მოუტანე სხივები მზისა,
ჟამთა სრბოლაში არ გახუნდება
წითელი დროშა კომუნიზმისა!

წერს **ნუგზარ ფურცხვანიძე** (თბილისი).

მუშა პოეტი **სიო ხიდისთაველი** (თბილისი) მართალი გულით მიმართავს კაცობრიობის უკვდავ გენიას:

შენ მარად ცოცხლობ, დიადო
ლენინ,
ვით კომუნიზმის უკვდავი საქმე.

**შ. კვინჩიას** კი (ხობი) კარგად აქვს შეგნებული, რომ მშვიდობას, შრომასა და თავისუფლებას მხოლოდ საბჭოთა კონსტიტუცია — თავისუფლების დიდი ქარტია — უზრუნველყოფს. ის აღტაცებულია, რომ ჩვენი სამშობლო პარტიის ხელმძღვანელობით, აყვავებისა და აღმავლობის გზით მიდის წინ, ნათელი მიზნისაკენ. ავტორი ეტრფის და უმღერის კომუნიზმის ხარაჩოებს, წინსვლასა და შენებას:

მშვიდობა, შრომა, თავისუფლება—
აი რას ამბობს ჩვენი პარტია.
აშენებს ჰესებს, გვიმღერებს
გულებს
უსაყვარლესი ჩვენი პარტია.

საბჭოთა ახალგაზრდობისათვის, რომელმაც კოსმოსიც დაიპყრო, მიუწვდომელი, შეუძლებელი და გასაკვირი საქმე არ არსებობს:

ათასწლოვანი შენ გაქვს ფესვები,
დღეში ათას ფიქრს გაშლი
კვირტებად,
ბევრ საოცრებას კვლავ დაესწრები
და არაფერი გაგიკვირდება —

ასე მიმართავს თავის თაობას აბაშელი ახალგაზრდა **გიორგი გვაზავა**.

რაოდენი სითბო და გულწრფელი სიყვარულია **აზა გეწაძის** (ზესტაფონი) სტრიქონებში:

ლამპრად მიგვიძღვის სიბრძნე
ლენინის,
გულანთებულნი ბნელეთს ვკვეთეთ,
ის იყო კაცი, მზედ მოვლენილი
და მარცვლებივით სთესდა სიკეთეს.
სამშობლოს ზეცას მტლედ
დავედებით,
ბრძოლაც და შრომაც ვიცით
გმირული.
ჩვენ არასოდეს არ დავბერდებით,
რადგან გული გვაქვს
კომკავშირული.

მართლაც, რა დააბერებს, რა დააძაბუნებს იმ ადამიანებს ვინც, **ვალიკო ხუცურაულის** (დუშეთი) სიტყვით რომ ვთქვათ, ალალი შრომის ოფლსა ღვრის, მშვიდობას იცავს და კომკავშირული დროშებით მტკიცედ მიჰყვება პარტიას:

კომკავშირული დროშებით
მტკიცედ მივყვებით პარტიას,
ქვეყნად ძმობის და მშვიდობის
დაუღამებელ განთიადს.

ხალხებს მშვიდობა ვაჩუქოთ,
ვაშენებთ ქარხნებს, კაშხალებს,
ტრაქტორად გადავადუღებთ
ტანკებს, ქვემეხებს, ზამბახებს.

საბჭოთა ახალგაზრდობას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მშვიდობა სურს, მაგრამ თუ გათავხედებულმა მტერმა თავისი არ დაიშალა და ჩვენი მყუდროების დარღვევა მოინდომა, საკადრის პასუხს გავცემთ:

მზადა ვართ, მზადა ვართ
მარადის,
უშიშრად დავუხვდეთ
ომს;
არ მივცეთ სამშობლო
არავის —
სისხლის და სიკვდილის
მდომს —

წერს **რევაზ ლორია** (ლანჩხუთი).

ვეტერანი კომკავშირელი, ამჟამად პარტიის წევრი **ფრიდონ პავლიაშვილი** (თბილისი) აღფრთოვანებით უმღერის აღმზრდელ კომკავშირს:

ომის ქარცეცხლმა დაგბადა,
მტერს სპობდი მთად და ველადა,
შენ გამოგაწრთო, აღგზარდა
პარტიამ, დიდმა ბელადმა.

სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი ლენინისადმი, ახალი ცხოვრებისადმი, ლენინური კომკავშირისადმი მიძღვნილი ლექსები ბევრმა სხვა ავტორმაც გამოგზავნა.

ხალხის სიმღერა მთის გულიდან გადმომსკდარი დაუშრეტელი და კამკამა წყაროსავით მოჩქეფს და ალალ-მართალ სტრიქონებს მარგალიტებად აფრქვევს.

**ა. ბებაშვილი.**

საქართველო — უკრაინა

# გენიჩესკელები მახარაძეში



## ძმობის ზეიმი

მახარაძე. (16 ნოემბერი. ტელეფონით „კომუნისტის" საკ. კორ. ბ. ჩხაიძე). რამდენიმე დღეა მახარაძელებთან სტუმრად არიან გენიჩესკელი მეგობრები. ისინი აქ ჩამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრებისა და მეგობრობის 30 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე.

ყველასათვის ამაღელვებელი იყო გენიჩესკის რაიონის მშრომელთა დელეგაციისა და ქ. მახარაძის ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩის — გენიჩესკის ქუჩის მცხოვრებთა შეხვედრა უკრაინელ მეგობრებთან. ძვირფას სტუმრებს სიხარულით, ხვევნაკოცნით შეეგებნენ მასპინძლები. ქართული ადათის მიხედვით ქ. მახარაძის გენიჩესკის ქუჩის მცხოვრებთა სახელით მამაპაპური ყანწით შეხვდა ამ ქუჩის მცხოვრები გივი გუბელიძე. დელეგაციის მეთაურმა, პარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კუნიცამ გულით დალოცა მასპინძლები — ამ ქუჩის მცხოვრებნი. საბავშვო ბაღის აღსაზრდელმა 5 წლის გოგონამ მაიკო თოიძემ კი ასე მიმართა სტუმრებს: „ვაში ხლება, ნაში ვინა, ხაი ჟივე უკრაინა!"

გენიჩესკის ქუჩის მცხოვრებმა ინჟინერმა მიხეილ შარაშიძემ შინ მიიპატიჟა ძვირფასი სტუმრები. თამადამ, მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ აკ. გობრონიძემ მხურვალედ მიულოცა გენიჩესკელებსა და მახარაძელებს ძმური მეგობრობა, რომელიც 30 წელია გრძელდება და ვითარდება.

სტუმრების მხრივ სიტყვით გამოსულმა დელეგაციის მეთაურმა ნ. კუნიცამ აღნიშნა: უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის მშრომელთა სახელით, პარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოჩუბეიმ დამავალა გადმოგცეთ თქვენ — „მახარაძელ გენიჩესკელებს" საუკეთესო სურვილები კომუნიზმისათვის ბრძოლის ნათელ გზაზე და აი ეს პატარა კინოაპარატი.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ქ. გენიჩესკის მახარაძის ქუჩის მცხოვრები ივანე რომანიუკი.

საყურადღებო სიტყვა თქვა დელეგაციის წევრმა, ძველმა კომუნისტმა მიხეილ სტეფანეს-ძე ბოგასევმა. მან ილაპარაკა ძველ კომუნისტთა მამაცურ ბრძოლაზე, რომლის მეოხებითაც დამკვიდრდა ხალხთა შორის ურღვევი ლენინური მეგობრობა.

„მახარაძელი გენიჩესკელები" და სტუმრები გულთბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

გუშინ დღის მეორე ნახევარში გენიჩესკელთა დელეგაცია გაემგზავრა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც გაეცნობა მასპინძელთა მიერ შეჯიბრების 30 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებს, რაიონის ეკონომიკას.

დღეს ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის" მშრომელებისათვის გაიმართება დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მასპინძელთა და სტუმართა თვითმოქმედი კოლექტივები. უკრაინელი მეგობრები კიდევ რამდენიმე დღეს დარჩებიან. გურიაში ზეიმი გრძელდება.

• • •

სურათზე: გენიჩესკელი თავმჯდომარეები გ. ლეგუნოვი და ი. მაზუნოვი უკრაინიდან — სამამულო ომის დროს დაღუპულ ქართველების ძმათა სასაფლაოდან წამოღებულ მიწას ყრიან ქ. მახარაძეში აგებულ შინმოუსვლელთა ობელისკთან.

ფოტო ზ. სამსონიასი.

# გულის კარნახით

თორმეტი წლის წინათ, მახარაძელ და გენიჩესკელ მშრომელთა მეგობრობის აღსანიშნავად, დაისტამბა და გამოვიდა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის მიხაკო ორაგველიძის სქელტანიანი რომანი „მეგობრობა". ეს წიგნი მაშინვე ითარგმნა რუსულად ვ. მიხაილოვის მიერ. არცთუ ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, მაგრამ ამ წიგნს ოჯახებისა და ბიბლიოთეკების გარდა ვერსად შეხვდებით. დღევანდელი ახალგაზრდობა ასეთი წიგნებიდან ბევრ კარგს ისწავლის და შეითვისებს, ამიტომ არის, რომ ეს რომანი მალე მეორედაც გამოიცემა.

ჩვენ შრომაში ვესტუმრეთ დიდი და კეთილმოწყობილი კოლმეურნეობის სახელოვან თავმჯდომარეს მიხაკო ორაგველიძეს და ვთხოვეთ მოეთხრო, თუ როგორ იწერებოდა მისი წიგნი „მეგობრობა".

— მეგობრობაზე რომანი რომ დაწერო, ჯერ მეგობრები უნდა გაიჩინო, — ღიმილით გვეუბნება მიხაკო.

მართლაც, თუ მეგობრები, ძმასავით მეგობრები არა გვყავს, თუ არ განგიცდია მეგობრობის სიამტკბილობა, ისე წიგნს კი არა, უბრალო ბარათს ვერ დაწერ. როცა უსმენ ორაგველიძის ენაწყლიან საუბარს, არ შეიძლება არ მიგიზიდოს ამ კაცმა და არ შეიძლება არ დაუმეგობრდე.

ამ სახელგანთქმულ თავმჯდომარეზე, რომელიც 30 წელია ხელმძღვანელობს სოფელ შრომის კოლმეურნეობას, ბევრი დაწერილა საკავშირო თუ რესპუბლიკურ პრესაში. ამიტომ მის თავმჯდომარულ მოღვაწეობაზე აღარაფერს ვამბობთ. მარტო ის რად ღირს, რომ 30 წელიწადი უცვლელად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას და ყოველწლიურად წარმატებებს აღწევს. ჩვენ მას თავის წიგნ „მეგობრობაზე" ვესაუბრებით.

— აა, აგერ არის ის საბუთები, რამაც დამაწერინა აი წიგნი, — ამბობს მიხაკო და მაგიდაზე სქელტანიან, 172 ფურცლისაგან შემდგარ „საქმეს" დებს. — წაიკითხეთ ეს წერილები და თვითონ მიხვდებით. დიდი მწერლის რომანის პრეტენზია არა აქვს ჩემს წიგნს, მაგრამ, მერწმუნეთ, წრფელი გულითა და სიყვარულით ნაწერია და, ვფიქრობ, მკითხველი მადლიერი უნდა იყოს.

მაშ ასე, ვათვალიერებთ თავმჯდომარის № 31 საქმეს, რომელსაც ყდაზე მელნით აწერია — „წერილები ორი კოლმეურნეობის მეგობრობაზე, მახარაძე-გენიჩესკი, როვნო-შრომა, 1938-1968 წ.წ." პირველივე წერილი არ შეიძლება ადამიანმა აუღელვებლად წაიკითხოს:

„ძვირფასო ამხანაგო ორაგველიძევ.

დღეს, 31 ოქტომბერს, გაზეთ „პრავდაში" წავიკითხე ორი დიდმნიშვნელოვანი ცნობა. ერთია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ოპერატიული ცნობა, საიდანაც შევიტყვე ჩვენი ჯარების დიდი გამარჯვების ამბავი იმ რაიონში, სადაც თქვენი მეგობარი სტალინის სახელობის კოლმეურნეობაა. ქ. გენიჩესკიც განთავისუფლდა.

მეორე სასიხარულო ამბავი ამავე ნომერში ელენა კონონენკოს ნარკვევი „მეგობრობაა". დიდებულ და კეთილშობილურ

### ასე იწერებოდა თავმჯდომარის წიგნი „მეგობრობა"

◆

საქმეს აკეთებთ თქვენი და თქვენი კოლმეურნეები სამამულო ომის ამ დღეებში, თქვენი დიდი და კეთილშობილური ოჯახი — კოლმეურნეობა ალბათ სიხარულს განიცდის, წითელმა არმიამ გუშინ გაათავისუფლა ქ. გენიჩესკი და მის ირგვლივ მდებარე 150 დასახლებული პუნქტი.

გისურვებთ მალე დაამყაროთ კავშირი თქვენს მოძმე უკრაინელ კოლმეურნეებთან და გააგრძელოთ სოცშეჯიბრება.

მე, როგორც წითელი არმიის ძველი მებრძოლი და საქართველოს გასაბჭოების მონაწილე, დიდი მადლობელი ვარ თქვენი და თქვენი კოლმეურნეებისა იმ დახმარებისათვის, რომელსაც უწევთ მოძმე უკრაინელებს, სამამულო ომის ინვალიდებს, ევაკუირებულებს.

მებრძოლი, წითელარმიული სალომით პოდპოლკოვნიკი, ორდენოსანი ნიკოლა ზენინი.

31 ოქტომბერი, 1943 წ."

ასეთ წერილებს იღებდა შრომის თავკაცი ურალიდან, ციმბირიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

რა ეწერა იმ გაზეთებში, ასე რომ აღელვა მკითხველები?

— სამამულო ომის დროს, — ყვება მიხაკო, — როგორც ჩვენი მოძმე უკრაინა და კერძოდ გენიჩესკის რაიონიც მტერმა ჩაიგდო ხელში, ბევრი დაჭრილი, მოხუცი და ბავშვი ევაკუაციით შრომაში ჩამოვიდა. 100 ოჯახი შევიფარეთ და მათზე სამ წელიწადს, ვიდრე სამამულო ომი დამთავრდებოდა, მთელი სოფელი ისე ვზრუნავდით, როგორც საკუთარ დებსა და ძმებზე, შვილებზე. ეს მართლაც საინტერესო, ამაღელვებელი ამბავი თითქმის ყველა საკავშირო გაზეთში დაიბეჭდა. ჩვენმა მეგობრობამ, დაძმურმა და მამაშვილურმა სიყვარულმა ბევრი საბჭოთა ადამიანი აღაფრთოვანა და ეს წერილების ნაკადიც მაშინ წამოვიდა.

ამას წინათ, ოქტომბერში, მახარაძელთა დელეგაციასთან ერთად გენიჩესკში ვიყავი, — განაგრძობს მ. ორაგველიძე, — ცრემლებმა კინაღამ დამახრჩო, როცა რაიონის სტადიონზე, მშრომელთა მიტინგზე, სატვირთო ავტომანქანების ძარებზე არა მხატვრული, არამედ სინამდვილის სცენები წარმოგვიდგინეს მეგობრებმა. ერთ მანქანაზე ხელჩამობმულ, თავშეხვეულ მეომარს მხარში ამოსდგომოდა ქართველი დედა. ჩვენ გენიჩესკელებთან ერთად ტაშს ვუკრავდით, ვიცრემლებოდით. ეს ხომ ლავრენტიევია, ვიფიქრე. მართლაც ის იყო, სწორედ ის, ომის დროს მძიმედ დაჭრილი ლავრენტიევი რომ ჩამოიყვანეს შრომაში, მელინკო მჟავანაძემ ნამდვილ დედასავით რომ უპატრონა, გამოაჯანსაღა.

აფსუს, რატომ მელინკო ახლა ცოცხალი არ არის, რომ ენახა თავისი შვილობილი! ლავრენტიევი შრომაში ვერ გვეწვია, ჩვენ მას სიურპრიზს ვუმზადებდით. შრომის კოლმეურნეობის კანტორის წინ, გორაკზე შეფენილ მეგობრობის ბაღში დავდგით ლავრენტიევის და ქართველი დედის მჟავანაძის დედაშვილური სიყვარულის აღსანიშნავი მაღალი ქანდაკება. ქართველი ქალი დაჭრილ მეომარს მხარში ამოსდგომია, სახეზე კი გამარჯვების რწმენა გადაკფენია ორივეს. ეს ძეგლი შრომელთა და გენიჩესკელთა მეგობრობის სიმბოლოა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ ძეგლის ავტორები თბილისის სამხატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტი ვ. მჟავანაძე და აკადემიადამთავრებული გრ. რუხაძე არიან.

როგორ გაიხარებდა ლავრენტიევი რომ ჩამოსულიყო და თავისი თვალით ენახა ამ ძეგლის გახსნა. გაიხარებდა ისევე, როგორც მიხაკო ორაგველიძეს გაუხარდა, როცა გენიჩესკის სტადიონზე სატვირთო ავტომანქანაზე სოცშეჯიბრების პირველი ხელშეკრულების ხელმოწერის სცენა წარმოადგინეს, ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელს აწერენ როვნოელი თავმჯდომარე კლიმენკო და შრომელი თავკაცი ორაგველიძე.

— ჩვენ ყვავილებით შევამკეთ კლიმენკოს საფლავი, ამასთან თეთრი მარმარილოს ფილაც დავადეთ, რომელსაც აწერია — „სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორს თ. კლიმენკოს მ. ორაგველიძისაგან". მისი საფლავის მიწა აი ამ გამჭვირვალე ქილით წამოვიღე და იგი ჩვენი მეგობრობის მუზეუმის ექსპონატია. ქილა აქ დავდგით, სადაც კლიმენკოს სურათია კედელზე დამაგრებული, — ამბობს მიხაკო და გვაჩვენებს ამ ძვირფას ექსპონატს, რომელიც ნამდვილი მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

— აი ამ ამბებმა, ამ წერილებმა აღარ მომასვენა, — მოგვითხრობს თავმჯდომარე, — კალამი ამაღებინა ხელში, და დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი, რასაც განვიცდიდი. თვით ჩვენმა ცხოვრებამ დამაწერინა ეს რომანი. მეგობრობა ასე მესმის, ასეთია ერთა თანამეგობრობა ჩვენში, ჩვენს დიად ქვეყანაში. ამავე გრძნობით დავწერეთ მე და ჩემმა უკრაინელმა მეგობარმა გ. ლიტოვჩენკომ წიგნი „სოციალისტური შეჯიბრება და შემოქმედებითი თანამეგობრობა", რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ გამოვიდა ქართულად და უკრაინულად; სულ მალე კი ჩემი მესამე, ოცფორმიანი წიგნი „მეგობრობის ხიდი" გამოვა. მეგობრობა ჩემი და არა მარტო ჩემი, მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელი სიტყვაა და ჩვენც ხომ ამ მეგობრობით ვართ უძლეველი.

ვ. გოგალიშვილი.

ფოტოსურათები მოგვითხრობენ

# 30 წლის წინათ და ახლა

გენიჩესკელ და მახარაძელ კოლმეურნეთა მეგობრობის შესახებ შემორჩენილია ბევრი წერილი, წიგნი, საგაზეთო ნარკვევები, ფოტოსურათები და სხვა დოკუმენტები. ისინი უკრაინელთა და ქართველთა მეგობრობას ასახავენ.

● 1938 წელი. 30 წლის წინათ გადაღებულ ამ ფოტოსურათზე (ზევიდან) ასახულია სოცშეჯიბრების პირველი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალი.

● 1956 წელი. მახარაძელები სტუმრად გენიჩესკელებთან. გულმხურვალე შეხვედრა.

● 1958 წელი. კვლავ ყვავილები, კვლავ სიხარული, მეგობართა შეხვედრები შავი ზღვის პირას.

● 1968 წელი. ნოემბრის ეს დღეები მახარაძეში. ამჯერად გენიჩესკელები ეწვივნენ მახარაძელებს. სოცშეჯიბრების ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალი.

ჩვენს ფოტომოთხრობას სიმბოლურად ისევ მეგობართა სოცშეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებით ვამთავრებთ. პირველი ხელშეკრულება 30 წელს ითვლის, ახალი კი ამ დღეებში გაფორმდა.

გენიჩესკელ და მახარაძელ მშრომელთა სოცშეჯიბრება, გულთბილი შეხვედრები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება კვლავ გრძელდება. გრძელდება და საუკუნეებში იცოცხლებს ორი ხალხის — ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობა და მეგობრობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ერთიან ძმურ ლენინურ ოჯახში!









# საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ

## რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა გუშინ აქ მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოაცხადა, რომ რობერტ მერფის ნიშნავს თავის პირად წარმომადგენლად საგარეო პოლიტიკის დარგში სახელმწიფო დეპარტამენტთან კავშირის დამყარებისა და კონსულტაციებისათვის გარდამავალ პერიოდში. პროფესიონალი დიპლომატი მერფი იყო სახელმწიფო მდივნის მოადგილე პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის მთავრობაში. ამჟამად მერფი არის მსხვილი კორპორაციის „კორნინგ გლას ინტერნეშნლის" გამგეობის თავმჯდომარე და „მორგან გარანტი ტრასტ კომპანის" საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

როგორც ნიქსონმა თქვა მერფის, რომელიც მასთან ერთად ესწრებოდა პრეს-კონფერენციას, დაევალება მიმდინარე საგარეოპოლიტიკურ მოვლენათა განსაკუთრებით ვიეტნამის ამბების კურსში იყოლიოს პრეზიდენტი და წინასწარი კონსულტაციები გამართოს ახლანდელ მთავრობასთან საგარეო პოლიტიკის დარგში გადაწყვეტილებათა მისაღებად.

ნიქსონმა აღნიშნა, რომ როცა საქმე შეეხება გადამწყვეტ საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, იმედი აქვს პირადად მოეთათბირება ხოლმე პრეზიდენტ ჯონსონსა და სახელმწიფო მდივან რასკს. როგორც ნიქსონის განცხადებიდან ჩანდა, პრეზიდენტმა ჯონსონმა აღუთქვა, რომ მოეთათბირება მას, ვიდრე რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდეს საგარეო პოლიტიკის დარგში.

ფრგ

## შრედერი პრეზიდენტობის კანდიდატია

ბონი, 15 ნოემბერი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის პარტიამ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალისტურმა კავშირმა დღეს თავდაცვის მინისტრი გერჰარდ შრედერი დაასახელა ამ პარტიის კანდიდატად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

ეს განუცხადა პრესის წარმომადგენლებს კანცლერმა კიზინგერმა.

გ. შრედერი 1953 წლიდან შედიოდა დასავლეთ გერმანიის კაბინეტებში, რომლებსაც მეთაურობდნენ ადენაუერი, ერჰარდი და კიზინგერი, ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები.

ბელგია

## ომის ფსიქოზი

ბრიუსელი, 16 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტები ვ. ვოლკოვი და ა. კრასიკოვი გვატყობინებენ: გუშინ აქ დამთავრდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ასამბლეის — ამ სამხედრო ბლოკის წევრი ქვეყნების პარლამენტართა ორგანიზაციის მე-14 სესია. ეს სესია გაიმართა მინისტრთა დონეზე ნატოს საბჭოს სხდომების წინ და უნდა მიეცა ტონი ამ დღეებში ბელგიის დედაქალაქში გამლილი „ატლანტიკური" დისკუსიებისათვის.

სესიის მთელი მუშაობა აღინიშნა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ უმაგალითო უხეში გამოხდომებით, და ეს მისი მიმართულება აისახა ნატოელ პარლამენტართა მიერ მიღებულ რეზოლუციებსა და რეკომენდაციებში.

ასამბლეამ ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს მოუწოდა კიდევ უფრო გააძლიერონ თავიანთი სამხედრო მეცადინეობა. ასამბლეამ მოითხოვა მოეწყოს ამ ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირი ნატოს ფარგლებში კიდევ ერთი გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელსაც უკვე გამოუნახეს სახელწოდებაც: „ევროპის თავდაცვითი სააგენტო".

ძღვიებენ რა შიშს მითური „საბჭოთა მუქარის" წინაშე, ყველაზე შუბლმაგარმა ნატოელმა პარლამენტარებმა წინადადება წამოაყენეს დასახონ „პრევენტული" ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება მიიღონ სსრ კავშირის წინააღმდეგ ეკონომიკის დარგში, და ამ წინადადებას მხარი დაუჭირა სესიის მონაწილეთა უმრავლესობამ.

კავშირის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა, კერძოდ, ევროპაში განლაგებული ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა ლ. ლემნიტცერმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა მ. ბროზიომ ასამბლეაზე წარმოთქვეს ვრცელი სიტყვები.

სესია იყო და დარჩა სალაყბოდ, რომელიც ეხმარება „შუბლმაგარ" ნატოელებს გააღვივონ ომის ისტერია, და რომელსაც სინამდვილეში არა აქვს ფაქტიურად არავითარი უფლებები და რწმუნებანი.

## მკაცრი ოკუპანტები

კაირო, 15 ნოემბერი. (საქდესი). ისრაელი მაოკუპირებელი ხელისუფალნი მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე არღვევენ საერთაშორისო შეთანხმებას ისტორიული ძეგლების დაცვის შესახებ. ეს, როგორც მენის სააგენტო იუწყება, ნათქვამია არქეოლოგიის დარგის უცხოელ ექსპერტთა კომიტეტის განცხადებაში, რომელიც ამანში გამოქვეყნდა.

## პოლონელ კომუნისტთა ყრილობა

ვარშავა, 16 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობაზე დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა.

დელეგატები დიდი პასუხისმგებლობით, პარტიული მიდგომით განიხილავდნენ იდეოლოგიისა და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების, ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებს, სახალხო პოლონეთის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. ისინი დიდი კმაყოფილებითა და სიამაყით ლაპარაკობდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმატებებზე, სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებსა და პერსპექტივებზე. „პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზი შეესაბამება მშრომელთა საარსებო ინტერესებს" — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა პოლონელ კომუნისტთა უკლებლივ ყველა წარმომადგენლის გამოსვლას.

გუშინ ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ ურუგვაის, სალვადორის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, იორდანიის, ლიბანის, დანიის, ისრაელის, ბელგიის, ავსტრიისა და ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

ვარშავა, 16 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის V ყრილობის სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გომულკამ. თავის სიტყვაში მან შეაჯამა პოლონელ კომუნისტთა ორმილიონიანი არმიის უმაღლესი ორგანოს მუშაობის შედეგები.

## შეხვედრას თავს არიდებენ

პარიზი, 15 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის მხარემ არ შეასრულა შეთანხმებანი და დაპირება, უარი თქვა რა მონაწილეობა მიიღოს შეხვედრაში, რომელიც უნდა გახსნილიყო 6 ნოემბერს, განაცხადა დღეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა პარიზის ოფიციალურ საუბრებზე ნგუენ თხან ლემ, რომელიც გამოვიდა ჟურნალისტთა წინაშე პრეს-ცენტრში სეგიურის ქუჩაზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელმაც შექმნა საიგონის ადმინისტრაცია, პასუხისმგებლობა ეკისრება იმისათვის, რომ მისი წარმომადგენლები არ ესწრებიან პარიზის ოთხმხრივ შეხვედრას. ნგუენ თხან ლემ კატეგორიულად უარყო ჭორები, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიღწეული ყოფილიყოს შეთანხმება „ორი ბანაკის წარმომადგენელთა" შეხვედრის მოწყობის შესახებ.

ნგუენ თხან ლემ შემდეგ აღნიშნა, რომ თხიეუ კის მარიონეტთა მტკიცე უარი, თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ პარიზში, აიხსნება იმით, რომ თვით მათი არსებობა დამოკიდებულია მხოლოდ ამ ქვეყანაში ამერიკის აგრესიაზე. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ამხილა საიგონის რეჟიმის მოქმედება, რომელიც ვიეტნამელი ხალხის მშვიდობისათვის მისწრაფების პასუხად აძლიერებს ტერორს ქვეყანაში, აცხადებს საგანგებო წესებს, მთლიანად უგულებელყოფს სამხრეთ ვიეტნამის ინტერესებს. ნგუენ თხან ლემ აღნიშნა, რომ ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგობა მარიონეტული ადმინისტრაციის პოლიტიკისადმი.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზ-

### ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლის პრეს-კონფერენცია

◆

რი, განაცხადა ნგუენ თხან ლემ, გმობს გაჭიანურების ტაქტიკას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკისრება პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დღემდე მიღებული არ არის ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წინადადება სამმხრივი შეხვედრის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ.

ამავე დროს, — თქვა ნგუენ თხან ლემ, — ამერიკის შეერთებული შტატები აჭიანურებს მოლაპარაკების გახსნას და კვლავ არღვევს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას. ნგუენ თხან ლემ აღნიშნა, რომ 10-დან 13 ნოემბრამდე ამერიკის მზვერავმა თვითმფრინავებმა 60-ჯერ დაარღვიეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე. ნგუენ თხან ლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2 ნოემბრიდან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულია შეერთებული შტატების ორი მზვერავი თვითმფრინავი.

ნგუენ თხან ლემ ამხილა და უსაფუძვლო უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის ნ. კატცენბახის განცხადებებს, რომლებშიც მან ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ბრალად დასდო დემილიტარიზებული ზონიდან სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის დანადგარების დაბომბვა. ნგუენ თხან ლემ აღნიშნა, რომ ასეთი მონაჭორები ვრცელდება სამხრეთ ვიეტნამში აგრესიის ინტენსიფიკაციისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე სადაზვერვო ფრენის უკანონო განგრძობის მიზნით.

## ფაქტები

● ოსტენდე, 16 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ აქ მუშაობა დაიწყო ბელგიის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ.

ყრილობა გახსნა ბელგიის კომპარტიის ოსტენდის ფედერაციის მდივანმა მარკ ბრაემ.

ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი. შემდეგ ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარემ მ. დრიუმომ გააკეთა საანგარიშო მოხსენება.

● ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საქდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა (95 ხმის უმრავლესობით, ერთმა ხმა მისცა „წინააღმდეგ" და თხუთმეტმა თავი შეიკავა) მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის პროექტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკის საკითხზე.

● ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისია იუწყება, რომ გუშინ ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე მოახდინეს მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

# ამას ჯალათებიც კი ვერ უძლებენ

## ტრაგედია საბერძნეთის საპყრობილეებში

წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, დაბეჭდილი იყო ინგლისურ გაზეთ „სანში". მასში მოთხრობილია, თუ როგორ აწამებენ პატიმრებს საბერძნეთის ხუნტის საპყრობილეებში. კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ხუნტის მსხვერპლთა ვინაობა დასახელებული არ არის, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ჯალათების ხელში არიან.





„ჩვენ ყველაფერი წესრიგში გვაქვს".

ნახ. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტიდან".

ერთი შეხედვითვე ნათელი ხდება, რომ ეს ჩვეულებრივი ოთახი არ არის, რომ იგი წამებისათვის არის განკუთვნილი. შუა ოთახში დგას ხის სკამი. კედლებზე მათრახები, თოკები, ლითონის წნელები და სხვა საწამებელი იარაღები ჰკიდია.

მ. სკამზე დასვეს და თოკით მიაბეს ისე, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო შიშველი ფეხის გულებზე ცემა. წამების პროცედურა დაიწყო. ეს იყო წამების ცნობილი სახეობა „ფალანგა"...

რამდენიმე ხნის შემდეგ მას თოკი შეხსნეს და სკამიდან ააყენეს, რამდენიმე ხნით ფეხის გულები წყალში ჩააყოფინეს და შემდეგ აიძულეს სკამის გარშემო ერბინა. ახლა უკვე ურტყამდნენ, სადაც კი მოხვდებოდათ.

შემდეგ კვლავ სკამზე დააბეს და „მკურნალობის კურსი" გაიმეორეს. ამჯერად ურტყამდნენ ლითონის მილის ნაჭრებით. მას უთხრეს, რომ მოკლავდნენ ან დაასახიჩრებდნენ, თუ წინანდებურად ხმას არ ამოიღებდა.

მას არ ახსოვს, რამდენ ხანს გრძელდებოდა მისი წამება. საშინელი ტკივილები ყველაფერს ახშობდა. ტანსაცმელი შემოაგლიჯეს და მხეცურად დაუწყეს ცემა ფოლადის წნელებით. დროდადრო სხეულზე წყალს ასხამდნენ. ბოლოს და ბოლოს გრძნობაც დაკარგა. მაშინ ყინულოვანი წყლით „მოასულიერეს". დაიწყო წამების ახალი სერია. ჯალათებმა თმაში ხელი ჩაავლეს და თავს ლითონის კარადას არტყმევინებდნენ, შემდეგ სცემდნენ მკერდსა და მუცელში. პატიმარს სიკვდილის პირას მიიყვანდნენ, „მოასულიერებდნენ"... და შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ბოლოს ნახევრადმკვდარი საკანში გაათრიეს. ქვის იატაკზე დაგდებული სამი დღის განმავლობაში სისხლისაგან იცლებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მას ფეხზე დადგომა არ შეეძლო.

როდესაც მ. კუნძულ ლეროსზე ლაკის ბანაკში გადაიყვანეს, იძულებული გახდნენ ჰოსპიტალში მოეთავსებინათ. საჭირო გახდა ცალი ფეხის თაბაშირში ჩასმა.

ეს ამბავი შეიძლება კაცს ადრე გაგონილი ისტორიის გადამღერებად მოეჩვენოს. მაგრამ სწორედ დაპატიმრებათა და წამებათა ეს „ერთნაირობაა", კაცს რომ სულს უყინავს. კარზე კაკუნი შუაღამისას, ბრალდება — ოპოზიციური საქმიანობა, დანაშაულის აღიარებისა და თანამონაწილეთა დასახელების მოთხოვნა. შემდეგ კი არაადამიანური წამება.

აი პ. კ.-ის მონაყოლი. წამების ყველაზე ელემენტარული საშუალებაა ჯოხით, წნელებით, ფოლადის ნაჭრებით ცემა. არის, რა თქმა უნდა, უფრო კვალიფიციური მეთოდები: ფეხის გულებზე ცემა, თოკით მხრების ერთმანეთისაკენ დაჭაჩვა, იატაკზე წაქცეული პატიმრის მკერდზე მძიმე ჩექმებით ხტუნვა. ჯალათებს უყვართ აგრეთვე ღია ჭრილობებში მარილის ჩაყრა.

ამ სურათს თვითონ ჯალათებიც კი ვერ უძლებენ ხოლმე, და ამიტომ მონაცვლეობით მუშაობენ. ყველაზე საშინელია მეზობელი საკნებიდან სხვა პატრიოტთა არაადამიანური ყვირილის გაგონება აგონიური ხრიალი, წამებულთა შემზარავი გმინვა და დარტყმების ხმა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ჯოჯოხეთში იყო.

— მე ჩამაგდეს საკანში, რომლის სიგანე ერთი მეტრი იყო, ხოლო სიგრძე — მეტრნახევარი, — ყვება ბუღალტერი ნ. ა. — და სადაც დაწოლა შეუძლებელი იყო.

წამების საკანთან ისე მიმიყვანეს, რომ წინასწარ მომესმინა ადრე შეყვანილთა საზარელი ყვირილი. შემდეგ ჩემი რიგიც დადგა.

ლითონის წნელებით მცემდნენ ფეხის გულებზე მანამდე, სანამ ფეხები არ დამისივდა და გამიშავდა. შემდეგ მიბრძანეს მერბინა. როცა დავეცი, წყალი გადამასხეს, და მაიძულეს ავმდგარიყავი. ასე გამეორდა ხუთჯერ. 35 დღის შემდეგ გადამიყვანეს ლეროსზე პარტენის ბანაკში. 45 დღეს ჰოსპიტალში ვიყავი, სანამ ჭრილობები მომიშუშდებოდა.

ლ. „ფალანგის" მეთოდით აწამეს 18 საათის განმავლობაში. სკამიდან რომ ახსნეს, მიწაზე დაგდებულს ჯალათები ფეხებით მკერდზე შესდგნენ. სახე ისე დაულეწეს, რომ დაუსივდა და თვალის გახელა აღარ შეეძლო. ჯალათებმა ულვაშზე ცეცხლი წაუკიდეს. ურტყამდნენ ჯოხს, რომელსაც ერთ ბოლოში ორი ლურსმანი ჰქონდა ჩარჭობილი. ბრტყელტუჩას უჭერდნენ ენაზე, ცხვირსა და ყურებზე.

გვიან ღამით პატიმარი ხელბორკილებით ფანჯარაში გადაჰკიდეს. დილით რომ ჩამოხსნეს, ხელები პარალიზებული ჰქონდა. კ. ნ. დააპატიმრეს 1968 წლის 27 აპრილს, ხელები ზურგსუკან შეუკრეს და მაჯებით ჩამოჰკიდეს. იგი ხეზე ეკიდა და საშინლად სცემდნენ. წამების განსაკუთრებული მეთოდიც გამოიყენეს. აწამებდნენ მაღალი ძაბვის დენით — ელექტროდებს შუბლსა და კისერზე ადებდნენ. მის ხელებზე სიგარეტს აქრობდნენ. კ. ნ. ბნელ საკანში ჩააგდეს, ხუთი დღის განმავლობაში არც წყალი მიუციათ, არც საჭმელი და აიძულებდნენ, ჯარისკაცების საამებლად, შიშველს ციხის გარშემო ერბინა.

# საქდესი უარყოფს

ამ ბოლო დროს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ქვეყნების პრესის მთელი რიგი ორგანოები ავრცელებენ ცნობებს, თითქოს საფრანგეთის ყოფილ სამხედრო-საზღვაო ბაზას ალჟირში მერს-ელ-კებირს ალჟირი გადასცემდეს საბჭოთა კავშირს, რომელიც აპირებს გამოიყენოს იგი ხმელთაშუა ზღვაში მყოფი თავისი სამხედრო ხომალდების სადგომად. ამტკიცებენ აგრეთვე, თითქოს საბჭოთა სამხედრო სპეციალისტები ქმნიდნენ ალჟირის სანაპიროზე რაკეტულ დანადგართა ქსელს.

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩომ პარიზში მიმდინარე წლის ოქტომბერში უკვე ამხილა აღნიშნული ცნობები და ხაზი გაუსვა, რომ ეს ცნობები წარმოადგენს წმინდა წყლის სპეკულაციას და იმ პროვოკაციული კამპანიის ნაწილს, რომელსაც ახორციელებს „გარკვეული ინტერესების სამსახურში მყოფი ზოგიერთი გაზეთი". მაგრამ ნატოს სამხედრო ბლოკის აგრესიული წრეების მიერ ინსპირირებული ეს კამპანია გრძელდება.

დასავლეთის პრესის მონაჭორეები აშკარად გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირ-ალჟირის ურთიერთობის ხასიათს, დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა მთლიანად ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მიმართ. ისინი მიზნად ისახავენ გაამართლონ ნატოს სამხედრო აქტივობის გაძლიერება და, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვაში ნატოს მუდმივი სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის გეგმები.

საქდესს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს დასავლეთის პრესის მიერ გავრცელებული ცნობები მერს-ელ-კებირში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის და ალჟირში საბჭოთა რაკეტული დანადგარების ქსელის შექმნის თაობაზე, როგორც უდაბურ საფუძველს მოკლებული მონაჭორი.

